შირაქი

SHIRAKI

www.opentext.ge

№12 (9.528)

15 აპრილი 2012 წელი

ფასი 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

გამოდის 1937 წლიდან

თავისუფლება ისე არ მოდის...

საქართველოს უახლეს ისტორიაში 9 აპრილი შევიდა, როგორც დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. ამ დღეს ქართველი ერის ზეიმს სევდაც დაჰკრავს... ეს დღე 1989 წლის 9 აპრილს მთავრობის სასახლესთან საბჭოთა არმიის ნაწილების მიერ სასანგრე ნიჩბებით აჩეხილი ქართველების ხსოვნის დღე უფრო არის...

1989 წლის 9 აპრილის მოვლენიდან 23 წელი გავიდა. დედოფლისწყაროს ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ 9 აპრილის მემორიალი გვირგვინითა და ყვავილებით შეამკო და ამ ჟესტით კიდევ ერთხელ მიაგო პატივი იმ ადამიანების ხსოვნას, რომელთაც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სამსხვერპლოზე ზვარაკად საკუთარი სიცოცხლე მიიტანეს.ამ დღეს მემორიალთან ახალგაზრდებიც მოვიდნენ. დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრთან არსებულმა ხალხური სიმღერების ბიჭუნათა გუნდმა ქართული სიმღერით გამოხატეს თავიანთი პატივისცემა დაღუპულთა სულების მიმართ.

„ჩვენ ყოველ წელიწადს მოვდივართ 9 აპრილის მემორიალთან, ვანთებთ სანთლებს და ვიხსენებთ იმ ადამიანებს, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად საქართველოს დამოუკიდებლობის მომავალს ჩაუყარეს საფუძველი“ — განაცხადა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან ბაღაშვილმა.

1985 წელს საბჭოთა კავშირში გარდაქმნის კურსის გამოცხადებამ, რამელიც დანგრევის პირას მისული

(გაგრძელება მე-3 გვ.)

სოციალურად დაუცველებს ტანსაცმელი გადასცეს

ქალაქ დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლამ საქველმოქმედო აქცია გამართა. სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების 80-მდე მოსწავლეს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს სკოლის დირექტორმა ია ლაპიაშვილმა და პედაგოგებმა საჩუქრად ტანისამოსი და ფეხსაცმელი გადასცეს.

აქცია სკოლის ახლადდანიშნული დირექტორის ინიციატივით განხორციელდა, მასში სურვილის მიხედვით ამავე სკოლის პედაგოგებიც ჩაერთვნენ.

„აღდგომის დღესასწაულებთან დაკავშირებით, გვინდოდა მათთვის სიურპრიზი მოგვეწყო. ჩემი სურვილით მეორადი ტანსაცმელი შევაგროვე, პედაგოგებიც შემომიერთდნენ და გაჭირვებულ ბავშვებს გადავეცით. ჩვენს სკოლაში სოციალურად დაუცველი 80-მდე მოსწავლე ირიცხება. როგორც ცნობილია, სოფელ ჭოეთში მცხოვრები ბოშები ჩვენს სკოლაში სწავლობენ. იმ ბოშა ბავშვებს რომლებიც სკოლაში ამ დღეს ვერ გამოცხადდნენ, საჩუქრები სახლში გავუგზავნეთ. ამ ჟესტით გვინდოდა გაჭირვებულ ოჯახებს მხარში ამოვდგომოდით და მათი ყოფა ოდნავ მაინც შეგვემსუბუქებინა,“ - განუცხადა „შირაქს“ №2 სკოლის დირექტორმა ია ლაპიაშვილმა.

როგორც სკოლის ადმინისტრაციაში აცხადებენ, მსგავსი და სხვა შინაარსის საქველმოქმედო აქციები მომავალშიც ინტენსიურად გაგრძელდება და ტრადიციულ სახეს მიიღებს.

დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლა ერთადერთია, სადაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებს წარმომადგენელი მოზარდები სწავლობენ. ისინი წლების მანძილზე შორი მანძილისა და სკოლის არარსებობის გამო განათლების მიღებას ვერ ახერხებდნენ.

ქრისტე აღსდგა!!! გილოცავთ

15 აპრილს მთელი მართლმადიდებლური სამყარო ქრისტეს აღდგომას ზეიმობს. ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!

ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსი მელქისედეკი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით საინგილოს სხვა საეკლესიო პირებთან ერთად ეწვევა და საზეიმო წირვას იქ მოქმედ ეკლესიებში აღავლენს.

აღდგომის ერთ-ერთი დიდი სასწაული არის მარადიული ცეცხლის გარდამოსვლა იესო ქრისტეს საფლავზე. მაინც რა დროიდან გადმოდის მარადიული ცეცხლი ქრისტეს საფლავზე, ანუ პირველად როდის გადმოვიდა? — ამ კითხვაზე წმინდა მამების პასუხი ასეთია:

პირველი ცეცხლი ქრისტეს საფლავიდან იმ დღესვე გადმოვიდა, როდესაც ქრისტე აღსდგა. შემდეგ გოლგოთაც მოასწორეს და საფლავსაც მიწა გადააყარეს. მხოლოდ მეოთხე საუკუნეში, როდესაც იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა და დედამისმა, წმინდა ელენე დედოფალმა საფლავის ადგილი განმინდეს და იქ ტაძარი ააგეს, კვლავ გამოჩნდა ცეცხლი ქრისტეს საფლავზე. მას შემდეგ ამ ტაძარში წმინდა ცეცხლი ქრისტეს აღდგომის ყოველ დღესასწაულზე გადმოვლინდება. და ჩვენდა სასიხარულოდ მხოლოდ მართლმადიდებელი პატრიარქისა და მართლმადიდებლების სანთელს გააბრწყინებს.

საკრებულომ საძოვრებზე გადასახადი შეამცირა



გვ. 3

ცხოვრების ჯანსაღი წესი ჩემს სკოლაში

გვ. 4

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge

C M Y K

უცხოელი ჟურნალისტები ქართული ღვინის კულტურას ეცნობიან

საქართველოში სტუმრად იმყოფებიან მსოფლიოში წამყვანი ჟურნალების რედაქტორები, გამომცემლობების წარმომადგენლები, სომელიეები, ღვინის ექსპერტები და ჟურნალისტები, რომლებიც ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების, ასევე სურსათის და ტურიზმის კუთხით მსოფლიოში არსებული სიახლეების შესახებ სტატიებს ამზადებენ.

7 ქვეყნის (საფრანგეთი, ლიტვა, ლატვია, ჩეხეთი, ყაზახეთი, უკრაინა, ჩინეთი) 50—მდე ჟურნალისტი 3 დღის განმავლობაში საქართველოს გაიცნობენ, როგორც ღვინის სამშობლოს და უძველესი კულტურის მქონე ქვეყანას.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, აღსანიშნავია, რომ ჩინეთი და ჩეხეთი ამ ეტაპზე ქართული ღვინისთვის პრიორიტეტული საექსპორტო ბაზრებია და ამ ქვეყნებიდან ჩამოსული პრესტიჟული ჟურნალების და გაზეთების მთავარი რედაქტორების შთაბეჭდილებებს ქართული პროდუქციის პოპულარიზაციის კუთხით დიდი მნიშვნელობა აქვს.

შავი ლომის საქმეზე მუშაობა 26 აპრილს განახლდება

ვისია "შავი ლომი" - ვიაჩესლავ ეფიმოვის, ყარამან ქუთათელაძის თუ ფიროსმანის, - საქმის განხილვა 26 აპრილს განახლდება. გამოძიება ახლა რამდენიმე მიმართულებით მუშაობს. პირველ რიგში უნდა დადგინდეს, ორიგინალია თუ არა ნამუშევარი, ანუ ნამდვილად ეკუთვნის თუ არა ის ფიროსმანს.



სასამართლომ ასევე უნდა გაარკვიოს, ვის დარჩება ნახატი. ექსპერტიზის დასკვნა უკვე მზადაა, თუმცა შედეგები არ ხმაურდება.

ტილო გასული წლის აპრილში ერთ-ერთ რუსულ გამოფენაზე შემთხვევით აღმოაჩინეს, შემდეგ კი ექსპოზიციიდან ქართული მხარის კატეგორიული მოთხოვნით მოხსნეს. მას შემდეგ საქმეზე გამოძიება საქართველოში დაიწყო.

ვიაჩესლავ ეფიმოვის ვერსია ასეთია: ის ამბობს, რომ ფიროსმანის ტილო ყარამან ქუთათელაძემ გასხვისებისუფლებით, 2 000 ლარის სანაცვლოდ გადასცა. საპირისპირო ვერსია აქვს თავად ქუთათელაძეს, რომელიც ამტკიცებს, რომ თაღლითობის მსხვერპლი გახდა.

საწვავი კიდევ გაძვირდა

რამდენიმე დღეა, საწვავის ფასმა ბენზინგასამართ სადგურებში 5 თეთრით მოიმატა. საწვავზე ფასის ზრდას მსოფლიოში ნავთობის ფასის მატებას უკავშირებენ. ხალხს კი მიზეზი ნაკლებად აინტერესებს. ის ხედავს, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის ნიშნული უმაღლეს ზღვარს, მაინცდამაინც ხვნა-თესვისა და მოსავლის აღების პერიოდში აღწევს. ფასი იმავე წუთში იმატებს, რა წუთშიც საინფორმაციო საშუალებები გააჟღერებენ, რომ ნავთობის ფასმა აიწიაო. ფასის მომატება იმწამსვე ხდება, დაკლება — იშვიათად. ყოველ შემთხვევაში, მინდვრის სამუშაოების დროს - არა.

არადა, სულამდე ხელმიწვდენილ ადამიანებს თითო-ოროლა ჰექტარი მიწის დამუშავებაისეთი ძვირი უჯდებათ, აღარ ღირს მასზე გაწეული შრომა. მაგრამ რა ქნან, რაღაცით ხომ უნდა იარსებონ?! ერთი სიტყვით, ძალა აღმართს ხნავსო, რომ იტყვიან, ასეა. გამოსავალი არ არსებობს, გვინდა თუ არ გვინდა, გვიჭირს თუ გვილხინს, მაინც დავდივართ ავტომანქანით... მაგრამ როდემდე გავუძლებთ ამ ყოფას?

ნაირა გორაშვილი

კანონპროექტი მძღოლებისთვის ახალი ჯარიმების დაწესებას ითვალისწინებს

საქართველოს მთავრობა „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" ცვლილებების შეტანას ითხოვს, რომელიც მძღოლებისთვის ახალი ჯარიმების დაწესებას ითვალისწინებს.

კანონპროექტის მიხედვით, გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, მოძრაობის დაწყების ან/და მანევრირების წესების დარღვევა 50 ლარით ჯარიმდება. აქამდე აღნიშნული ქმედებისთვის ჯარიმა განსაზღვრული არ იყო.

ამასთან, აქამდე, შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა, მხოლოდ 50 ლარით ჯარიმდებოდა. კანონპროექტით კი, ჯარიმა 100 ლარამდე იზრდება. ასევე, დგინდება ახალი რეგულაცია ღერძულა ხაზის გადაკვეთაზე. კერძოდ, თუ პირი ღერძულა ხაზს წელიწადში მეორედ გადაკვეთს, პირს მეორე შემთხვევაზე უკვე 200 ლარით დააჯარიმებენ.

საცირკო წარმოდგენები დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს თვითმმართველი ერთეულის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მოწვევით, 30 მარტს, ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე საცირკო წარმოდგენა გამართეს თბილისის მოძრავი ცირკის ,,ანტრეს" მსახიობებმა, რომლებმაც საცირკო ნომრები ბავშვებისთვის საყვარელ ცხოველებთან — ძაღლებთან და დათვთან ერთად შეასრულეს, პროგრამაში ილუზიონისტებიც მონაწილეობდნენ. მეორე დღეს წარმოდგენა სოციალურად დაუცველი კატეგორიის ბავშვებისთვის გაიმართა. სასცენო ნომრები ,,ანტრეს" მსახიობებმა სოფელ ზემო ქედის კულტურის სახლშიც გამართეს. "ანტრე" დედოფლისწყაროს უკვე მეორედ ეწვია, ორდღიანი წარმოდგენები მათ დედოფლისწყაროში 2009 წლის ზაფხულშიც გამართეს.

პლანეტის 12 ულამაზეს ადგილთა შორის თუშეთი მოხვდა

თუშეთი მსოფლიოს ულამაზეს ადგილთა შორის მოხვდა. 12 საუკეთესო ადგილს შორის თუშეთს მეხუთე ადგილი უჭირავს. რეიტინგი Yahoo Travel-მა გამოაქვეყნა.

სტატიაში თუშეთი პლანეტაზე ყველაზე ლამაზ ადგილადაა მოხსენიებული, საუბარია იქაურ კოშკებზე, ქართველები კი, ავტორის თქმით, ყველაზე სტუმართმოყვარე ხალხია.

პირველ ადგილზე რეიტინგში საფრანგეთის სენსოანი მოხვდა.

განათლების დონის ამაღლებისთვის

დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სამოქალაქო სექტორის განვითარების საქმეში. ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა სოფიო მენთეშაშვილის, ქეთი შანშიაშვილისა და ლიკა ლოლაშვილის მეორე პროექტიც დააფინანსა. ეს პროექტიც ორდღიანი იყო და მოიცავდა როგორც სემინარის ჩატარებას, ასევე საგანმანათლებლო ექსკურსიის მოწყობას ვაშლოვანის ნაკრძალში.

დედოფლისწყაროს ვაშლოვანის ნაკრძალის ადმინისტრაციულ შენობაში 8 აპრილს ჩატარდა ტრენინგი „ავიმაღლოთ განათლების დონე". ტრენერი კახა კოტაშვილი გახლდათ. როგორც პროექტის ორგანიზატორებმა განაცხადეს, ტრენერმა თავად შეარჩია სემინარის თემა.

ლიკა ლოლაშვილი, პროექტის თანაავტორი:"ეს ტრენინგი ჩვენთვის მართლაც საოცრად მნიშვნელოვანი იყო.სემინარის თემა ადვოკატირება გახლდათ. ჩვენთვის ეს თემა აბსოლუტურად უცნობი იყო, ამ ტრენინგის შემდეგ კი გავიგეთ როგორც ამ სიტყვის არსი, ასევე მნიშვნელობაც ყოველდღიურ ცხოვრებაში. თავიდან მოხდა მოსწავლეების ჯგუფებად დაყოფა, შემდეგ გაცნობა და სკეტჩებისა და სხვადასხვა ნომრების მომზადება. დედოფლისწყაროს სამი სკოლის ბავშვები იღებდნენ მონაწილეობდნენ ტრენინგის მიმდინარეობაში. გვინდა, დიდი მადლობა გადავუხადოთ ბატონ ავთანდილ ლეკაშვილს, რომელმაც საკონფერენციო დარბაზი დაგვიქირავა".

პროექტის მეორე დღეს ბავშვები ვაშლოვანის ნაკრძალს ესტუმრნენ და იქ არსებული უნიკალური ლანდშაფტი დაათვალიერეს. მათი გიდი ბუნების დიდი მოტრფიალე ამირან კოდიაშვილი იყო, რომელმაც ექსკურსიის მონაწილეებს უამრავი ინფორმაცია მიაწოდა დაცული ტერიტორიის შესახებ და სპეციალური აპარატურის მეშვეობით ვიზუალურადაც აჩვენა იქ მობინადრე ცხოველთა სამყარო. „ბევრი ადამიანს ვიცნობთ ჩვენს გარშემო, ვისაც ვაშლოვანის ნაკრძალი ნანახი არ აქვს. ამიტომ გამოვიყენეთ ეს შესაძლებლობა და ჩვენი პროექტის ფარგლებში საგანმანათლებლო ექსკურსია მოვაწყეთ. ვნახეთ პანტიშარას ხეობა, მერცხლების ქალაქი და სხვა უამრავი ღირსშესანიშნავი ადგილი"-განუცხადეს ბავშვებმა გაზეთ „შირაქს".

ინგა შიოლაშვილი

საკრებულომ საძოვრებზე გადასახადი შეამცირა

10 აპრილს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგით მეექვსე სხდომა ჩატარდა. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა ფიროსმანაშვილმა დეპუტატებს განსახილველად შვიდი საკითხი წარუდგინა.

დეპუტატებმა გადაწყვეტილება მიიღეს „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, ადგილობრივი (ქონების) გადასახადის განაკვეთების მე-4 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე ქონების გადასახადი ერთ ჰექტარზე შეადგენს: ა) სათიბებზე — 20 ლარს; ბ) საძოვრებზე — 7 ლარს; გ) სახნავი (კარგი და მწირი ხარისხის) და სხვა კატეგორიის სასოფლო—სამეურნეო დანიშნულების მიწებზე— 87 ლარს; დ) ტყის მიწებისათვის, რომლებიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით;

დ ა) სათიბებისათვის (ბუნებრივი და გაკულტურებული) — 20 ლარს; დ ბ) საძოვრებისათვის (ბუნებრივი და გაკულტურებული) — 16 ლარს; დ გ) სახნავისათვის (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე) — 40 ლარს“.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ახმეტისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში არსებული ტყის მიწებისათვის, რომლებიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით — საძოვრების სახით, ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთი განისაზღვრება 50 ლარით.

ცვლილება შევიდა, ასევე, „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმების დამტკიცების თაობაზე“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 30 სექტემბრის №33 დადგენილებაში, საკრებულოს გადაწყვეტილებით შეიცვალა ოქმის ფორმა.

სხდომამ ცვლილებები შეიტანა ა(ა)იპ-ების „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის“ და

> „ჰექტარზე 17 ლარს ვიხდიდით, რაც მძიმე ტვირთად გვაწვა. ამიერიდან 7 ლარს გადავიხდით, ეს აუცილებელი და დროული ცვლილება იყო“

„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლის“ შექმნის და მისი წესდების დამტკიცების შესახებ 2007 წლის 24 აგვისტოს №87და 2007 წლის 7 მაისის №58 განკარგულებებში.

სხდომაზე დეპუტატებმა მოისმინეს ანგარიში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების და შ.პ.ს-ების 2011 წლის საფინანსო დოკუმენტების აუდიტორიული შემოწმების შესახებ.

ცნობისთვის, საკრებულოს პრესასთან ურთიერთობის სპეციალისტს სხდომის ჩატარების თაობაზე ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე წინასწარ არ გამოუქვეყნებია.

გაზეთი „შირაქი“ საძოვრებზე გადასახადის გაიაფების საკითხზე ადგილობრივი ფერმერებისა და მეცხვარეთა ასოციაციის პოზიციითაც დაინტერესდა და მათი მოსაზრებაც მოისმინა. საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე **ბექა გონაშვილი** მიესალმება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 10 აპრილის სხდომაზე გამოტანილ გადაწყვეტილებას მიესალმება. ამგვარი შეფასება გონაშვილმა გაზეთ „შირაქთან“ საუბარში გააკეთა.

„ამ დრომდე მთავრობის დადგენილების თანახმად საძოვრების გადასახადი 15 ლარით იყო განსაზღვრული, თუმცა დედოფლისწყაროს საკრებულოს ეს თანხა კიდევ 2 ლარით ჰქონდა გაზრდილი და ამ დრომდე ჯამში 17 ლარს ვიხდიდით, რაც მესაქონლეობით დაკავებულ ადამიანებს საკმაოდ მძიმე ტვირთად აწვა. ამჯერად კი კმაყოფილი ვართ გადაწყვეტილებით, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ამიერიდან 17 ლარის ნაცვლად მხოლოდ 7 ლარის გადახდა მოგვიწევს. ეს ცვლილება ძალიან დადებითი და სასარგებლოა. ამის თაობაზე რამდენიმე ადგილობრივსაც ვესაუბრე და აღმოჩნდა, რომ ეს გადაწყვეტილება ბევრისთვის მისაღები აღმოჩნდა... ეს დროული და აუცილებელი ცვლილება იყო, რომელიც აქამდეც უნდა განხორციელებულიყო, რადგან უსამართლოდ მაღალი გადასახადის გადახდა გვიწევდა,“ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ ბექა გონაშვილმა.

მისი განმარტებით, ფასების შემცირება საქართველოს მთავრობის 14 თებერვლის №50-ე დადგენილების საფუძველზე ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს. დოკუმენტს ხელს აწერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური.

ილია მარტყოფლიშვილი

თავისუფლება ისე არ ჰოდის...

(პირველი გვერდიდან)

სსრკ-ს მოდერნიზაციისთვის მოიგონეს „დემოკრატიის მამებმა”, გამოიწვია საბჭოთა კავშირის შემადგენელობაში ძალადობით

შეყვანილ სახელმწიფოებში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობების აღმავლობა. ეროვნული მოძრაობის აღმავლობამ ყველაზე დიდი მასშტაბები მიიღო საქართველოში, ჩამოყალიბება იწყეს სხვადასხვა პარტიებმა და პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, რომელსაც მაშინ არაფორმალურ გაერთიანებებს უწოდებდნენ. გაჩნდა იმედი დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და საქართველოს გათავისუფლებისა, რომელსაც ყოველთვის სათუთად გულში ინახავდა ქართველი კაცი.

ეროვნული მოძრაობა, რომელსაც სათავეში ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ედგნენ, განსაკუთრებით მძლავრი ხდება 1988 წლიდან. ქართველი მამულიშვილების ძალისხმევით ეწყობოდა მიტინგები და საპროტესტო აქციები საბჭოთა ხელისუფლების დიქტატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. 1989 წლის 4 აპრილს საქართველოს ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლის და დამოუკიდებლობის აღდგენის ლოზუნგი წამოაყენეს. მიტინგის მონაწილეთა ერთმა ჯგუფმა დაიწყო პოლიტიკური შიმშილობა.

ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური მოთხოვნები კომუნისტური ხელისუფლებისათვის იმდენად მიუღებელი იყო, რომ მთავრობასა და ეროვნულ მოძრაობას შორის მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა გადამჭრელი ზომები მიეღო და ძირშივე აღეკვეთა ეროვნული მოძრაობის გაძლიერება. 1989 წლის 8 აპრილს, კრემლის დავალებით, საქართველოს რესპუბლიკური აქტივის სხდომაზე მხარი დაუჭირეს მომიტინგეთა წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღების წინადადებას. იმავე დღეს გამოქვეყნდა სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება, რომლის თანახმადაც მკაცრდებოდა მიტინგებისა და დემონსტრაციების აღკვეთის პირობები. ეს ბრძანებულება უშუალოდ თბილისის მოვლენების აღკვეთის მიზნით მიიღეს. ყოველივე ამით შეიქმნა მიტინგის დარბევის „იურიდიული” საფუძველი.

9 აპრილის დილისათვის მიტინგის დასაშლელად გამოყენებულ იქნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილები. მოსკოვიდან თვითმფრინავებით გადმოისროლეს საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების სპეცდანიშნულების ასობით ჯარისკაცი გენერალ ეფიმოვის მეთაურობით. მიტინგის დაშლის ოპერაციას უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი იგორ როდიონოვი. დილის 4 საათზე დამსჯელმა ნაწილებმა მომიტინგეებს ყველა მხრიდან შემოარტყეს ალყა. ისინი შეიარაღებული იყვნენ ხელკეტებით, ორლესული ნიჩბებითა და მომწამვლელი გაზით.

სამხედრო ჯავშანმანქანების კოლონა, რამდენიმე ასეული ჯარისკაცის თანხლებით, იერიშით შეიჭრა მთავრობის სასახლის წინა მოედანზე და შეუბრალებლად დაუწყო ჩეხვა მომიტინგეებსა და მოშიმშილეებს, რომელთა უმრავლესობა ქალები იყვნენ. სადამსჯელო ჯარებმა, რომელსაც გენერალი ი. როდიონოვი ხელმძღვანელობდა, ქართველი მამულიშვილების აქცია სისხლში ჩაახშო. საბჭოთა არმიის სადამსჯელო ნაწილებმა გაუგონარი სისასტიკით დაშალეს მშვიდობიანი მიტინგი, რის შედეგადაც მოედანზე დარჩა 19 მოკლული ადამიანის, აქედან 16 ქალის (მათ შორის, ერთი ორსულის) გვამი. 2000-ზე მეტი ადამიანი გაზით მოიწამლა, მრავალი კი დაიჭრა. 9 აპრილს უღმერთო-კომუნისტურმა სადამსჯელო ორგანოებმა ადამიანების მოსაწამლად გამოიყენეს მანამდე უცნობი ქიმიური შემადგენლობის მომწამვლელი გაზი, რომლის გამოყენებაც აკრძალული იყო საერთაშორისო კონვენციით.

9 აპრილის სისხლიანმა მოვლენებმა კიდევ უფრო გააძლიერა ეროვნული მოძრაობა, კიდევ უფრო შეუპოვარი გახადა ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. და აი, 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობას მიეცა საშუალება, აერჩია ეროვნული ხელისუფლება, რომელმაც 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო სწორი გადაწყვეტილება და 9 აპრილი, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ გამოაცხადა. ასე იქცა სისხლიანი 9 აპრილი თავისუფლების დღედ.

ინგა შიოლაშვილი

„ქარვა“ დედოფლისწყაროში ზეთის წარმოების აღდგენას წლის ბოლომდე გეგმავს

ზეთის მწარმოებელი კომპანია „ქარვა“, რომელმაც ქარხანა დედოფლისწყაროს რაიონში ააშენა და რომელიც 100%-ით ქართულ ნედლეულზე მუშაობდა, ამჟამად გაჩერებულია. კომპანია „ქარვას“ ხელმძღვანელი თემურ ბუკია ამბობს, რომ ზეთის ქარხნის გაჩერების მიზეზი დანადგარების მწყობრიდან გამოსვლა გახდა. მისი თქმით, ქარხანა წარმოებას რამდენიმე თვეში, სავარაუდოდ 2012 წლის ბოლომდე გახსნის. ამის შესახებ „ქარვას“ ხელმძღვანელმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა:

„ჩვენ 2005-დან 2010 წლამდე ვიყავით ბაზარზე. წარმადობა დღე-ღამეში 10 ათასი ლიტრი გვქონდა. მხოლოდ ადგილობრივ ნედლეულს ვიყენებდით. მზესუმზირას დედოფლისწყაროში ვყიდულობდით. მთელ კავკასიაში ვიყავით პირველები, რადგან რაფინირებული ზეთი ჩვენ ჩამოვასხით,“ - აღნიშნა თემურ ბუკიამ.

ის ამბობს, რომ ახალი დანადგარების შეძენის შემთხვევაში „ქარვა“ წარმოებას 2012 წლის ბოლოსთვის გახსნის.

სპეციალისტების განმარტებით, 2011 წელს უკრაინასა და რუსეთში მზესუმზირის მოსავალმა ყველა რეკორდი მოხსნა. შესაბამისად, ამ ქვეყნებში პროდუქტზე ფასი შემცირდა. თუმცა საქართველოს ბაზარზე ეს ცვლილება არ აისახა.

ბაზარზე ზეთს სუპერმარკეტების მოგების მარჟაც აძვირებს. „ილიაუნი ბიზნეს რევიუს“ კვლევამ აჩვენა, რომ დიდი მარკეტების მოგების მარჟა ადგილობრივ ბაზარზე 40 პროცენტსაც კი აღწევს. ბრენდი „მზიურის“ ფასი სხვადასხვა მარკეტების ქსელში 4,50-დან 5,10 ლარამდე იცვლება.

სოფლის მეურნეობის საკითხების ექსპერტი, პროფესორი პაატა კოლუაშვილი ამბობს, რომ მზესუმზირის ზეთის მაღალ ფასს ბაზარზე შეთანხმებული კონკურენცია და ადგილობრივი მზესუმზირის წარმოების დაბალი მაჩვენებელი განაპირობებს:

„იმისთვის, რომ ადგილობრივი წარმოება განვითარდეს, მზესუმზირის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 1,5 ტონა უნდა შეადგინოს. ჩვენ გვჭირდება მზესუმზირის წარმოება ქვეყანაში, რათა იმპორტი ადგილობრივი მზესუმზირით ჩავანაცვლოთ.“

მზესუმზირა საქართველოში ძირითადად კახეთში მოჰყავთ, თუმცა ამ კულტურის ნათესები მნიშვნელოვნად მცირდება. 2008 წელს მზესუმზირა 21,5 ათას ჰექტარზე იყო დათესილი, 2009-2010 წლებში მხოლოდ 9,7 ათასი ჰექტარი ფართობი ეკავა. 2011 წელს კი ეს კულტურა 8 ათას ჰექტარზე დაითესა.

„საქართველოში ნედლეულის მოსავლის მაჩვენებელი ძალიან დაბალია და იმისი გამოყენებაც არ ხდება. ზეთის მწარმოებელ ქარხანას ნედლეული შემოაქვს. საქართველოში მზესუმზირის იმპორტი ხდება. არასწორი სასურსათო პოლიტიკის შედეგად ეს სფერო ვერ ვითარდება,“ - ამბობს პაატა კოლუაშვილი.

როლანდ ზირაქიშვილი დედოფლისწყაროს მკვიდრია. ის მზესუმზირის დათესვას 2012 წელს აღარ გეგმავს:

„მზესუმზირა ძირითადად შირაქში მოჰყავთ, მაგრამ ამას ეკონომიკური შედეგი არ აქვს. მთავარი პრობლემა ის არის, რომ კახეთში მზესუმზირის გადამამუშავებელი ქარხანა არ არსებობს. კუსტარული ზეთსახდელები არის, მაგრამ არარაფინირებული ზეთის მოხმარებას ყველა ერიდება. მაგალითად, შარშან 100 ლიტრი მზესუმზირის ზეთი გამოვახდევინე კუსტარულად და სულ ახლობლებს დავურიგე, რადგან ერთი ლიტრიც ვერ გავყიდე“.

ზირაქიშვილი ამბობს, რომ მზესუმზირას ფასი არა აქვს: „ადრე თუ 2,5–3 ლარად ვყიდდით კილოგრამს, ახლა 1 ლარი ღირს და თვეში მხოლოდ 2 ტომრის გაყიდვას ვახერხებ. ვფიქრობ, მზესუმზირის მოყვანას აზრი არ აქვს.“

ფინანსური პრობლემები აქვთ კუსტარული ზეთის საწარმოებსაც. ზირაქიშვილი ამბობს, რომ ერთი ტონა მზესუმზირის დამუშავება 250 ლარი ღირს, მაგრამ გლეხები ფულს ვერ იხდიან და მომსახურების ფასში გამოხდილ ზეთს და კოპტონს ტოვებენ. ამ პროდუქტის რეალიზება შემდგომ ზეთის სახდელებიდან ხდება.

ამჟამად, საქართველოს საკვები ზეთის ბაზარი 100 პროცენტით იმპორტზეა დამოკიდებული. სტატისტიკის დეპარტამენტის 2011 წლის მონაცემებით, ქვეყანაში მზესუმზირის ზეთის იმპორტმა 16 049 100 ტონა შეადგინა (21 505 100 აშშ დოლარი). ზეთის იმპორტის 90 პროცენტი უკრაინიდან ხდება, 9 პროცენტი რუსეთზე მოდის, ხოლო 1 პროცენტი სხვა ქვეყნებზე ნაწილდება. ადგილობრივი წარმოების წილი ბაზარზე 8 377 900 ტონას (22 836 300 ლარს) შეადგენს, თუმცა ადგილობრივი მწარმოებელიც იმპორტირებულ ნედლეულს იყენებს.

საქართველოს მზესუმზირის ზეთის ბაზარზე 40-მდე ბრენდია წარმოდგენილი და საკმაოდ მაღალია კონკურენცია. საცალო სარეალიზაციო ფასები 1 ლიტრზე 2,7 ლარიდან 3,5 ლარამდე მერყეობს. მცენარეული ზეთის ბაზარი შემდეგ სეგმენტებად არის დაყოფილი: მზესუმზირის ზეთი - 92%, ზეითუნის ზეთი - 4%, სიმინდის ზეთი - 4%, სხვა მცენარეული ზეთები - 1%.

ადგილობრივ ბაზარზე რაფინირებულ ზეთს მხოლოდ კომპანია “ბათოილი” აწარმოებს. კომპანია მთლიანად იმპორტირებულ ნედლეულზე მუშაობს. „ბათოილს“ მზესუმზირა უკრაინიდან შემოაქვს, რომლის ფასი ბოლო თვის განმავლობაში შემცირდა. ტონა საწარმოო მზესუმზირის ფასი 300 დოლარიდან 200 დოლარამდე დაეცა. თუმცა მზა პროდუქციის ფასი მაინც არ შეცვლილა. ადგილზე 1 ლიტრი ზეთის გასაყიდი ფასი 3,50 ლარიდან 4 ლარამდე მერყეობს. კომპანია „ბათოილი“ ნედლეულის გაიაფების ფონზე ზეთის ფასის შესახებ კომენტარს არ აკეთებს.

ილია მარტყოფლიშვილი

ცხოვრების ჯანსაღი წესი ჩემს სკოლაში

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სკოლებისთვის გამოცხადებულ ფოტო-კონკურსებში, „ცხოვრების ჯანსაღი წესი ჩემს სკოლაში“ და „ცხოვრების ჯანსაღი წესის ლოგო“ ქალაქ დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლაც ჩაერთო.

როგორც გაზეთ „შირაქს“ მეორე სკოლის დირექტორმა ია ლაპიაშვილმა განუცხადა, სკოლამ ორივე კონკურსისთვის სპეციალურად შექმნა ფოტოსურათი, რომელიც უკვე განთავსებულია განათლების სამინისტროს ფეისბუქის გვერდზე და ამჯამად მათი შეფასებები მიმდინარეობს.

პირველ კონკურსში წარდგენილ ფოტოსურათში სკოლის ყველა კლასის მოსწავლე მონაწილეობს, მასში მოზარდები მოწევის საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწევიან და საზოგადოებას ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვისკენ მოუწოდებენ.

ხოლო, კონკურსში „ცხოვრების ჯანსაღი წესის ლოგო“ სპეციალური ნახატი შექმნა მეორე სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე სოფიო მენთეშაშვილმა.

„ყველამ კარგად იცის, რომ მეორე სკოლის სტადიონი საშინელ მდგომარეობაშია. გარდა იმისა, რომ მცირე ზომისაა, უნდა ითქვას, რომ სკოლას ფაქტობრივად სტადიონი არ გააჩნია. ვთვლით, რომ ორივე ნამუშევარი საკმაოდ წარმატებული გამოვიდა და ამან დიდი სტიმული მოგვცა. გამარჯვების იმედი ნამდვილად გვაქვს. უნდა ითქვას, რომ ჩვენს სკოლას გამარჯვება ყველაზე მეტად სჭირდება, რადგანაც სტადიონისა და სპორტული დარბაზის აღჭურვის პრობლემა ყველაზე მეტად სწორედ ჩვენს სკოლაში დგას,“ - განუცხადეს „შირაქს“ მეორე სკოლის ადმინისტრაციაში.

როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრეს-ცენტრში აცხადებენ, გამარჯვებული 2012 წლის 1 მაისს გამოვლინდება.

გამარჯვებულად დასახელდება ორი სკოლა. კონკურსის წესების თანახმად, ერთი გამარჯვებული სკოლა გამოვლინდება თბილისის მასშტაბით, „ლაიქების“ რაოდენობის მიხედვით და მეორე გამარჯვებული სკოლა facebook-ის მომხმარებელთა თხოვნით გამოვლინდება საქართველოს დანარჩენი რეგიონებიდან ასევე „ლაიქების“ რაოდენობის მიხედვით და შეფასდება სოციალური ქსელის მომხმარებლის მიერ.



განათლების მინისტრის დიმიტრი შაშკინის ინიციატივით, გამარჯვებულ სკოლებს სამინისტრო გაუკეთებს თანამედროვე ახალი ინვენტარით აღჭურვილ სპორტულ დარბაზს ან მოედანს.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ამ დროისთვის დედოფლისწყაროს პირველი და მეორე სკოლის საკონკურსო ფოტოები მთელი ქვეყნის მასშტაბით ლიდერობენ. პირველი საჯარო სკოლის ფოტო „ჩვენ ვებრძვით შიდსს“ საკმაოდ მაღალ რეიტინგს ინარჩუნებს. საქართველოს რეგიონებში ამ ეტაპზე პირველ პოზიციაზეა. მეორე სკოლის მიერ შექმნილი საკონკურსო ნახატიც ამ დროისთვის საკმაოდ კარგ მაჩვენებელს აფიქსირებს. რაც შეეხება ფოტოსურათს, მეორე სკოლამ ფოტო ოდნავი დაგვიანებით, ახლახან შექმნა... ხმის მიცემის პროცესი კვლავაც გრძელდება.

მეორე სკოლის ადმინისტრაცია ყველა დედოფლისწყაროელს და სოციალური ქსელის მომხმარებელს მხარდაჭერისა და თანადგომისკენ მოუწოდებს.

ილია მარტყოფლიშვილი

პირველმა სკოლამ ორი საგრანტო დაფინანსება მოიპოვა

ქალაქ დედოფლისწყაროს პირველმა საჯარო სკოლამ ორი საგრანტო დაფინანსება მიიღო. როგორც გაზეთ „შირაქს“ №1 საჯარო სკოლის დირექტორმა მაია ლაპიაშვილმა განუცხადა, „მშვიდობის კორპუსმა“ 2 200 დოლარის გრანტი გამოუყო, ხოლო AIREX-მა 400 დოლარის ოდენობით.

„მშვიდობის კორპუსის“ მოხალისე ჯონათან ბრენდსი უკვე მერამდენე წარმატებით ასახელებს ჩვენს სკოლას! ერთი თვის წინ „მშვიდობის კორპუსმა“ დააფინანსა ბრენდსისა და მისი პარტნიორი მასწავლებლის ნინო ფიროსმანიშვილის პროექტი პირველ საჯარო სკოლაში ინგლისური ენის კაბინეტის მოწყობის თაობაზე. პროექტის შესრულებისთვის გამოყოფილია 2 200 აშშ დოლარი. ინგლისური ენის კლასის მოწყობა და აღჭურვა უახლოეს მომავალში დაიწყება და თანამედროვე სტანდარტების კაბინეტი ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედდება. მინდა გითხრათ, რომ ჯონათან ბრენდსმა ასევე დიდი წარმატებით დაძლია AIREX-ის ტრენერთა კონკურსი და კვალიფიკაციის ასამაღლებლად მიემგზავრება ერთკვირიანი ვიზიტით უკრაინაში. აღნიშნული წარმატებისთვის ჩვენს სკოლას გადაეცა 400 აშშ დოლარი, რომელიც ასევე სკოლის განვითარებას მოხმარდება,“ - აცხადებენ სკოლის ადმინისტრაციაში.

მაია ლაპიაშვილის განმარტებით, გასული წლის ნოემბერში სკოლამ კიდევ ერთი გრანტი მიიღო, ამ შემთხვევაში 6 300 ლარის ოდენობით. დედოფლისწყაროს პირველმა საჯარო სკოლამ არაქართულენოვან სკოლებთან დამეგობრების პროექტი წარმატებით განახორციელა.

მთავარი სათქმელი ჯერ არ მითქვამს

„ლექსი ვარ, ლექსი, გაზაფხულში ხომ არ გეშლებით“...

მინი-დოსიე: დაიბადა სოფელ ქვემო ქედში, როგორც თავადვე ამბობს, ბავშვობის წლები საკმაოდ შინაარსიანი და ნაყოფიერი ჰქონდა. მუდმივად იღებდა მონაწილეობას მოსწავლეთა შემოქმედებით კონფერენციებსა თუ ფესტივალებში, რაც ბავშვობიდან მისი ინტერესის სფერო იყო. განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებს საყვარელ პედაგოგს მზია იანვარაშვილს და მიიჩნევს, რომ დღემდე თუ რამ კარგი თვისება აქვს, ამ ქალბატონის დამსახურებაა.

სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა მშობლიურ რაიონში და მას შემდეგ მუშაობს რაიონის კულტურის სახლში, ჯერ კულტურულ—საგანმანათლებლო დაწესებულების მეთოდისტად, 1995 წლიდან კი რაიონის კულტურის სახლის დირექტორის თანამდებობას იკავებს. ცარო მარტიაშვილი არის მხატვრული თვითშემოქმედების ოლიმპიადის ლაურეატი.

მისი ცხოვრება ერთი დიდი ლექსია, ლექსივით გულწრფელი, ხან თავანკარა, მშფოთვარე, ხანაც გრძნობებით აღსავსე და მდუმარე. არა, ის კი არ სწერს, უბრალოდ, ლექსის და ქართული სიტყვის ფასი იცის, ჩვენს სულში ჩაწვდენა იცის და ლექსით გრძნობების გაღვივება. კითხულობს ისე, რომ იგი სიმია პოეზიასა და ჩვენს შორის გრძნობებად განფენილი. ცარო მარტიაშვილს ჩვენი საზოგადოების წინაშე წარდგენა არ სჭირდება, ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია ქალბატონი ცაროს მიერ წაკითხული ლექსი ანდა წაყვანილი ღონისძიება, არასოდეს დაავიწყდება, მისი სათუთი დამოკიდებულება ყველაფერი ქართულისადმი.

—***ქალბატონო ცარო, საზოგადოებაში თქვენი სახელი კრეატიულობასთან ასოცირდება, როდის გაჩნდა ლექსი თქვენს ცხოვრებაში ?***

—ლექსი ჩემს ცხოვრებაში ჯერ კიდევ ბავშვობიდან გაჩნდა, ოჯახში დედა, ბებია და პაპიდა ყოველთვის მიკითხავდნენ სხვადასხვა მწერლის შემოქმედებას, პირველი ტექსტი, რაც პატარა ბავშვმა დავიზეპირე და ლამაზად გადმოვცემდი, ,,შვლის ნუკრის ნაამბობი“ გახლდათ, მის შესავალს ხშირად ვამბობდი, ცოტა უფრო შემდეგ, იყო საკმაოდ დიდი მოცულობის ლექსი სტალინზე, ჯერ კიდევ 3-4 წლის ბავშვს ხშირად ქორწილებშიც კი მათქმევინებდნენ-ხოლმე ახლობლები, რისთვისაც მსმენელის ოვაციებს ვიმსახურებდი და თქვენ წარმოიდგინეთ ამისთვის, ხშირად სრულიად უცხო ადამიანები ფულითაც კი მასაჩუქრებდნენ ხოლმე. ასე რომ, (იცინის) სრულიად პატარა ბავშვისთვის, ლექსი, შემოსავლის წყარო გახდა.

მიმაჩნია, რომ პოეზია ჩემი სულის ნაწილია და არ შემიძლია უიმისოდ. როცა უმაღლეს სასწავლებელში დავიწყე სწავლა, ლექსის კარგ მკითხველად შემაფასეს, უმაღლესში მეტყველებას მალიკო მრევლიშვილი მასწავლიდა, ძალიან კარგი პედაგოგი გახლდათ, ის ჩემს დეკლამატორობას დადებითად აფასებდა. პუბლიცისტურ მეტყველებას კი ცხონებული კოტე მახარაძე მიკითხავდა, მახსოვს ბატონი კოტე გვეუბნებოდა — ლექსის წაკითხვა რთულია, მაგრამ სწორი მეტყველება ასგზის რთულიაო და მუდმივად სწორ მეტყველებისკენ მოგვიწოდებდა.

—***იქნებ თქვენი საყვარელი ლექსი დაგვისახელოთ?***

—ბუკინისტებში წიგნის საყიდლად მისულმა, თვალი მოვკარი გაზეთის ნაგლეჯს, რომელზეც ლექსი იყო დაბეჭდილი. ამ ლექსის ავტორი დღემდე ჩემთვის უცნობია, მაგრამ ის ჩემს საყვარელ ლექსად იქცა. ,,დაგვიანებული პაემანი 30 წლის შემდეგ,“ — ასეთი სახელწოდების ლექსი გახლდათ.

— „უკაცრავად, მაპატიეთ სითა-
ვხედე,
ვხედავ, ჩქარობთ, მაგრამ უნდა
შეგაეოვნოთ,
ვერ მიცანით? სულ ვერაფერს მი-
გახვედრეთ?
თქვენი ხსოვნის ნაწილი ვარ,
ქალბატონო!“

ასე იწყება მისი პირველი სტრიქონები, ასევე ძალიან მიყვარს სენტევიჩის „ვიდრე ხვალ,“ რობაქიძის — „ტანს გეტმასნება სველი ალერდი,“ აღარ მაქვს საუბარი გალაქტიონის —„დედაო ღვთისა, მზეო მარიამ.“

—***არაერთი ღონისძიების მოთავე და მასპინძელი ყოფილხართ, მაინც რომელი იყო თქვენთვის ყველაზე ამაღელვებელი და დასამახსოვრებელი?***

—1996 წელს ჩვენი თანამემამულე და ამჟამინდელი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი მოვიწვიეთ, რაც ძალიან შთამბეჭდავად დამამახსოვრდა. დაუვიწყარი იყო ჰამლეტ გონაშვილის საიუბილეო საღამო, ორი წლის წინ გადაიხადა ჩვენმა რაიონმა. დიდ პატივს ვცემ გივი სიხარულიძეს, რომელთან შეხვედრაც მრავალმხრივ საინტერესო გახლდათ, სიხარულიძეს აქვს კარგი ლექსებიც, რომელიც მომწონს. განსაკუთრებით გამოვყოფ ანსამბლ „რუსთავთან“ შეხვედრას, მათ ოთხი სიმღერა შეასრულეს ჩვენს სცენაზე, მაგრამ მთელი კონცერტის ფასი იყო.

—***უამრავ სტუმარს მოუსმენია თქვენთვის, თუ ყოფილა კომპლიმენტები, როგორც საუკეთესო წაამყვანის და დეკლამატორისთვის?***

—კი, უამრავს, თუნდაც მაყვალა გონაშვილს ძალიან ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის, რომ შენ ჩემს ლექსებს სხვანაირად კითხულობო, უამრავი წიგნი მაქვს ავტორისგან ნაჩუქარი, რომელზეც ჩემს მიმართ მადლიერების სიტყვებია წაწერილი. გივი სიხარულიძემ ჩემდამი ნაჩუქარ საავტორო წიგნს ასეთი სიტყვები წააწერა

– „ქართული ლექსის მესაიდუმლეს,
ცაროს, ცისა ს და ცაროს ნამისა,
მან ყველაფერი გაითავისა!“

— განა ეს კომპლიმენტი არ არის?!

—***14 აპრილს ქართული ენის დღეა, როგორ ფიქრობთ, რამდენად დაცულია ქართული ენა დღეს?***

—ქართულმა ენამ საუკუნეებს გაუძლო, 26 საუკუნოვანი ანბანი გვაქვს და არა მგონია, დღეს რაიმე ემუქრებოდეს ქართულ ენას. მხოლოდ იმას დავძენ, რომ ძნელად თუ მოიძებნება დღეს ახალგაზრდა, რომლის მეტყველება ანდა ლექსის მხატვრულად წაკითხვა მომეწონება, რაც ძალიან მაწუხებს.

—***წლების მანძილზე, არაერთი ახალგაზრდა გაკითხავდათ მხატვრული კითხვის შესასწავლად! იყვნენ თუ არა მათში გამორჩეულნი და, დღეს თუ გყავთ ამ კუთხით მოწაფეები?***

—კი, იყვნენ და საკმაოდ ძლიერებიც, მაგრამ სამწუხაროდ, ამ რაიონიდან ყველა მათგანი ამჟამად წასულია, საკმაოდ ნიჭიერი და საინტერესო ახალგაზრდები იყვნენ: მაია ნაკვეთაური, მაგდა პოპიაშვილი, ცირა ქისტაური, ვაჟა ოზაშვილი და ლევან ჯიბღაშვილი. კითხვა საერთოდ ისეთი რამაა, რომ ამას უბრალოდ ვერ ასწავლი, ეს შიგნიდან უნდა მოდიოდეს, მე მათ კი არ ვასწავლიდი, უბრალოდ მათთან ერთად ვმუშაობდი. დღესდღეობით მყავს ასეთი გამორჩეული მოწაფე, იგი პატარა თეკლა ჯიბღაშვილი გახლავთ.

—***,,ადამიანის სიცოცხლეში რამდენიმე დღე ან საათია დიდი სიხარულისთვის გადადებული“ — ამბობს მიხეილ ჯავახიშვილი, დაასახელეთ ის სამი მთავარი მოვლენა, რამაც თქვენ დიდი სიხარული მოგანიჭათ?!***

—გენიალური მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ ახალი წაკითხული მქონდა, როცა პირველად სვეტიცხოველის ტაძარი ვნახე. ის განცდა, რაც, მაშინ სვეტიცხოვლის ნახვით განვიცადე, დღემდე მახსოვს. ბედნიერი ვიყავი, როცა გალაქტიონის ლექსი „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ წავიკითხე და მესამე, — უსაზღვროდ დიდი ბედნიერება დამეუფლა, როცა თეატრალურ ინსტიტუტში ჩავირიცხე.

—***ამბობენ, ვისაც პოეზია უყვარს, ლამაზი სული აქვსო და ეს ჭეშმარიტებაა. საინტერესოა, ასეთი ლამაზი სულის ქალს რატომ არ გაქვთ ოჯახი, იქნებ არავინ მოვიდა თქვენს გულამდე ისე, როგორც თქვენ გსურდათ?!***

—(ფიქრობს) ვფიქრობ, რომ ეს ბედისწერაა!

—***არსებობს გამონათქვამი — „ვინც ცხოვრებაში მეტად ბედნიერი და ნებიერია, ის შემოქმედებაში მოკლებულია დიდ სიღრმესა და დემონურ სულსო“ — ეთანხმებით თუ არა ამ გამონათქვამს?***

—ვეთანხმები, რადგან ცხოვრებაში ბედნიერი და ნებიერი იშვიათად გვინახავს. დიდი პიროვნება შემდგარიყოს. ყველა დიდი შემოქმედი რაღაც ტკივილს ატარებდა, რის შედეგადაც შეიქმნა შედევრები. რაღაც უნდა განიცადო, რომ შექმნა, მე, მაგალითად, მიმაჩნია, რომ თუ არა დიდი ტკივილი, არ იქნებოდა ნოდარ დუმბაძე ცნობილი მწერალი.

—***,,ადამიანის ცხოვრება ქაოსია განუხორციელებელი ოცნებისა, გაუმაძღარი სურვილებისა და ნატვრისა, ცდისა და მოპოვებისა, მღვრიე, სამარცხვინო ფიქრებისა... განსაზღვრულ ჟამს დააკვირდით ადამიანის სულს, იქ ნახავთ ჰომეროსის ბუმბერაზების ბრძოლას, მილტონის ვეშაპების და დევების ჭიდილს...“ — თქვენ თუ შეგიძლიათ და კითხულობთ ადამიანის თვალებში მისი სულის ფიქრებს?***

—ჰოროსკოპით მერწყული ვარ, ამ ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანს ნამდვილად აქვს უნარი შეიცნოს ადამიანი. ბავშვობიდან დღემდე ჩემთვის მეგობარს არ უღალატია და, როგორადაც მიმიღია ისინი, დღემდე ისეთ ადამიანებად დარჩნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სწორად შევიცნობ მათ და შემიძლია მათი თვალებიდან სულის ფიქრების ამოცნობა. ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემს გარშემო ყოველთვის საინტერესო ხალხი იკრიფება, ისე, რომ პესიმიზმში ჩავარდნის უფლება არ მქონია, ღმერთი ერთს რომ გართმევს, მეორეს გაძლევს. მე იმით ვარ ბედნიერი, რომ საუკეთესო მეგობრების გარემოცვა მყავს.

—***აშკარაა და ამას კითხვა აღარც უნდა, რომ თქვენს ცხოვრებაში სულიერი უფრო წინ დგას, ვიდრე მატერიალური!***

—რა თქმა უნდა, სულიერი ბევრად წინაა, გოგლა ლეონიძეს აქვს ასეთი სტრიქონები —

„არაფერი მაქვს ქვეყანაზე
ლექსების მეტი,
ჩემი ცხოვრება ჭიანჭველას ეყოფა ტვირთად!“

—***ხომ არაფერი გაქვთ საზოგადოებისთვის სათქმელი, ისეთი, რაც გინდოდათ გეთქვათ და მე ვერ გკითხეთ?***

—ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შეიძლებოდეს, რა გზას აირჩევდიო თუ მკითხავთ, გიპასუხებთ, რომ ზუსტად იგივეს, რაც გავიარე, მხოლოდ ერთი განსხვავებით, ვიქნებოდი უფრო მეტად ნაყოფიერი, შემოქმედებითი, წარმატებული და საზრიანი, ვთვლი, რომ ის, რასაც ვაკეთებ, ჩემი საქმეა და კიდევ ბევრი მაქვს საკეთებელი, მინდა, რომ კიდევ კარგი ღონისძიებები გავაკეთო, ისეთი, რომელიც საზოგადოებას არასოდეს დაავიწყდება, ისე, რომ მთავარი ჯერ არ მითქვამს!

ლალი მეხრიშვილი

დავრჩეთ ბუნებასთან ჰარმონიაში

ამ წერილის დაწერა გაზეთ „შირაქში“ ამას წინათ გამოქვეყნებული ილია მარტყოფლიშვილის სტატიის ,,მომრავლებული მგელი და მტაცებლის ტყავის რეალიზების პრობლემური საკითხი“ წაკითხვის შემდეგ გადავწყვიტე. სტატიის ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პოპულარული გაზეთების ჟურნალისტებისგან განსხვავებით, საკითხის შესწავლისათვის სერიოზული დრო დაუთმია და შედეგად, საკმაოდ დაბალანსებული, სხვადასხვა მხარის (მათ შორის სპეციალისტების) არგუმენტებით გაჯერებული სტატია შემოუთავაზებია. მიუხედავად აღნიშნული სტატიისა და მისი ავტორის მიმართ დადებითი დამოკიდებულებისა, მინდა გამოვთქვა რამდენიმე მოსაზრება, რომელიც მტაცებლისა და ადამიანის კონფლიქტის საკითხში უფრო უკეთ გაათვითცნობიერებს ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ კონფლიქტი ადამიანსა და მტაცებელს შორის მეტ-ნაკლები სიმწვავით ყოველთვის იდგა. განსხვავება წარსულში არსებულ სიტუაციასა და დღევანდელობას შორის მხოლოდ ისაა, რომ ადამიანი სულ უფრო და უფრო მეტად ითვისებს მტაცებლების საბინადრო გარემოს, სულ უფრო მეტად იყენებს მათ საკვებად ვარგის რესურსს: მოიპოვებს ჩლიქოსან ცხოველებსა და ანადგურებს მღრნელებს. შესაბამისად, აიძულებს მტაცებელს საკვები მისთვის დღემდე არატიპურ გარემოში, ანუ ადამიანის საცხოვრებელთან ახლოს მოიპოვოს. პირველ რიგში ეს რა თქმა უნდა ნაგავსაყრელებს ეხება. მტაცებლების სიმრავლე სოფლის სიახლოვეს სწორედ ნაგავსაყრელზე არსებული ლეშითა და მტაცებლისათვის საკვებად ვარგისი სხვა ნარჩენების არსებობით შეიძლება აიხსნას. ამავე მოვლენას ხელს უწყობს სოფლის განაპირას უპატრონოდ მოხეტიალე შინაური ცხოველები, რომელებიც ადვილი ნადავლია მტაცებლისთვის. ვფიქრობ, სრულიად ნათელია, რომ მტაცებლების განადგურება თოფით ბევრად უფრო მეტ ძალისხმევასა და დანახარჯებს მოითხოვს და, შესაბამისად, არაეფექტიანია, ვიდრე ნაგვის მართვის საკითხების მოგვარება და შინაური პირუტყვის მოვლის გაუმჯობესება.

ორიოდე კვირის წინ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ოფისში, მტაცებლების კონსერვაციის პროექტის ფარგლებში ადგილობრივ მონადირეებთან ჩატარდა შეხვედრა, სადაც მათ მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ გამრავლებული მტაცებელი ანადგურებს სანადირო ნადირ-ფრინველს, რაც მათი რიცხოვნობის კლების მთავარი მიზეზია. ასევე აღინიშნა, რომ მტაცებლები ლეიშმანიოზის და ცოფის გადამტანი ცხოველებია და აუცილებელია მათი განადგურება, რათა მოსახლეობაში შემცირდეს ამ დაავადებების გავრცელებისა რისკი. აღნიშნული მოსაზრება სრულიად ლოგიკურად ჟღერს და ბუნებრივია მოსახლეობა, ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლებისგან გადამჭრელი ზომების მიღებას მოითხოვს. მაგრამ, მინდა გკითხოთ, ბატონებო, განა მაწანწალა ძაღლები უფრო მეტ საშიშროებას არ წარმოადგენს ამ თვალსაზრისით? განა ბრაკონიერობა, ტყის გაჩეხვა, ველ-მინდვრების გადაწვა უფრო მეტ ზიანს არ აყენებს იგივე ნადირ-ფრინველს, რომელზედაც თქვენ ასე ,,სწუხართ“? განა მანაქანიდან მოსროლილი ან ხევებში ჩაყრილი ნაგავი ნაკლებად უწყობს ხელს ინფექციური დაავადებების გავრცელებას? ამ ყველაფერში ხომ, ჩვენ ადამიანები, ვართ დამნაშავე? მაგრამ, ცნობილი კატისა და ლომის იგავისა არ იყოს, სადაც შეჯიბრში გამარჯვებისა თუ დამარცხების შემთხვევაში მაინც კატისთვის უნდა მოეჭრათ თავი, ყველაფერში მაინც მტაცებელია დამნაშავე.

> ადამიანი უპირველესად ბუნების პატრონია, მისი ვალია დარჩეს ჰარმონიაში ბუნებასთან, მართოს ის უარყოფითი პროცესები, რომელსაც თავად იწვევს. მოწოდება – „მუსრი გავავლოთ მტაცებლებს“, - ცივილიზებული საზოგადოებისათვის მიუღებელია.

არ მინდა მკითხველს დარჩეს შთაბეჭდილება თითქოს ფანატიკურად მიყვარდეს მტაცებლები და ამ წერილის მთავარი მოტივი მათი დაცვა იყოს. ვთვლი, რომ უფალმა ადამიანი შექმნა ბუნების გვირგვინად და მისი კეთილდღეობა უპირველესი საზრუნავია საზოგადოებისათვის; თუმცა, ადამიანი მხოლოდ მომხმარებელი კი არა, - უპირველესად ბუნების პატრონია, ამიტომ მისი ვალია დარჩეს ჰარმონიაში ბუნებასთან, მართოს ის უარყოფითი პროცესები, რომელსაც თავად იწვევს. მგელს კი არ უნდა მოვთხოვოთ გამოსწორება და ხორცის მაგივრად ბალახის ჭამა, არამედ ჩვენ უნდა მოვაგვაროთ ნაგავის მართვის პრობლემები, უკეთესად დავიცვათ შინაური პირუტყვი, ავაცილოთ დაავადებები, რომელიც ხშირ შემთხვევაში უფრო მეტ ზარალს იწვევს, ვიდრე მტაცებელმა შეიძლება მიაყენოს ადამიანს. მინდა აქვე აღვნიშნო, რომ საკითხის ღრმა შესწავლის შედეგად გამოვლენილი აუცილებლობის შემთხვევაში, არც მტაცებლის მოკვლაა გამორიცხული მაგრამ, მოწოდება - „მუსრი გავავლოთ მტაცებლებს“, - დავსახოთ ისინი ყოველგვარი ბოროტებისა და სიავის

სათავედ, ყოვლად მიუღებელია ცივილიზებული საზოგადოებისათვის.

დასასრულს, მინდა მივმართო ჩემთვის პატივსაცემი გაზეთ „შირაქის“ რედაქციას, მტაცებლებზე ინფორმაციის განთავსებისას მაინცდამაინც კბილებდაკრეჭილი მგლის სურათს ნუ გამოიყენებთ, გარწმუნებთ მგლის ჩვეული მდგომარეობა, (ისევე როგორც ადამიანისა) სულაც არ არის კბილებდაკრეჭილი ყოფნა. ასეთი ფოტოები ადამიანებში აგრესიას და შიშს იწვევს, ხოლო შეშინებული და აგრესიული ადამიანი ყოველთვის არაობიექტურ გადაწყვეტილებებს იღებს.

ამირან კოდიაშვილი,
ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია

გთავაზობთ დედოფლისწყაროელი მოსწავლის რუსუდან *ყოჩიაშვილის მოთხრობას*

მ გ ე ლ ი

სოფლის ბოლოში, ქვებით მოფენილ მტვრიან შარაგზას რომ გამოსცდები, აუცილებლად შენიშნავ კაკლების ჩრდილში შეყუჟულ, კრამიტიან სახლს, პატრონის მზრუნველი ხელი ნათლად რომ ატყვია პირსახეზე. რიკულებიან აივანზე მოხუცი კაცი გადმომდგარა, თუთუნისაგან შეყვითლებული თეთრი ულვაშებით. დაკოჟრილ, ძარღვმაგარ ხელებში პაპამისის დროინდელი ყალიონი მოუქცევია და ყუას უპრიალებს მაუდის ხალათით, თან ჩაფიქრებული გადასცქერის ეზოში მოკინკილავე ყვინჩილებს.

– ადამიანებს არა ჰგვანან?! ჩაეღიმა ანდრიას.

– ანდრია პაპა! — კიბეზე ტანმორჩილი ხუჭუჭა ბიჭი გამოჩნდა.

– ჩამოხვედი, სეხნიავ?? ოო, გენაცვალოს შენი პაპა. — უკან გასწია, ეშმაკურად მოჭუტა თვალები და შეათვალიერა შარვალში მუხლებგამოჩრილი შვილიშვილი, მერე გაიცინა და კაცურად, მოუხეშავად ჩაიკრა გულში.

– ჩემი ბოჩოლა რას შვრება, ჩემი თინანო? – მზემოკიდებულ სახეზე თეთრი კბილები ააელვარა ბიჭმა.

- ოო, თინია წამოგეზარდა, დღეს პირველად გავრეკე საქონელთან ერთად ტყეში.

თინანო ანდროს საყვარელი ბოჩოლა იყო, ერთი კვირისაც არ იყო, როცა დედა მოუკვდა და ბიჭი საკუთარი ხელით ასმევდა პატარა ბიდონიდან რძეს, ეფერებოდა, თვალებშუა, შუბლზე კოცნიდა, ბოჩოლაც შეეჩვია, უნდა გენახათ, როგორ ჩაჰკიდებდა ხოლმე მაისურში კბილებს და გაწვრთნილი ძაღლივით დასტუნტულებდა უკან.

– სოფელში, სოფელში რა ამბებია?

– მტაცებელი შემოგვეჩვია, შვილო, ხან ვისი ბაგიდან ქრება საქონელი და ხან ვისი, აგერ ბრუციანმა ჯემალამ 3 ჩლიქი და გაბდღვნილი ბეწვიღა იპოვნა თავისი დეკეულიდან.

– მერე, ამოდენა სოფელს ერთი ცხოველის მოკვლა გაუჭირდა? გაიკვირვა ბიჭმა.

– ანდრია, ბიჭო, ანდრია, ნუ ამოხადე სული ბალღს, გამოუშვი, შეჭამოს რამე- ამოსძახა სამზადიდან თებრომ.

ბიჭმა ჩაფიქრებული თვალებით ერთი კი გახედა პაპას და კიბეზე დაეშვა.

– მოვდივარ, თებრო ბებო, არაფერია, მე ვუყვებოდი ქალაქის ამბებს.

– პატარა დამცველის თავგამოდებაზე ანდრიას გაეცინა, მოაჯირთან ახლოს მიიდგა სამფეხა სკამი და ჩაფიქრებული მიაშტერდა შავი მთის ქვემოთ, ალაზნის ველზე დაკლაკნილ მდინარეს.

– დიდებული ხარ შენ, ალაზანო, თერგის ღრიალს ვერ შევადარებ შენს ხმას, მაგრამ თაკარა მზისგან გადახრუკულ ველ–მინდვრებში გამომწყვდეულს არანაკლები ჭირ-ვარამი გინახავს, მამაცი ხარ შენ, ალაზანო, ტანჯვა გამოვლილს ვაჟკაცურად რომ შეგინარჩუნებია სიამაყე და უცრემლოდ იტან ყოველი ლახვრის ჩასობას, აგერ შევაბერდით წლებს, ალაზანო, კიდევაც შევაბერდით. – შემოაღამდა ანდრიას. ფიქრებში ჩაძირული, ოდნავ მოჭუტული თაფლისფერი თვალებით, გასცქეროდა შორეთს და ყალიონს აბოლებდა.



-ადე, შე კაცო, საქონელი დაგრჩა მოსაყვანი, არაფერი მოიწიონ–გამოაფხიზლა თებრომ.

ეს სიტყვები იყო და გაფითრებული ანდრია ამოვარდა კიბეზე, ნიკაპი უკანკალებდა და ძლივს აჩერებდა თვალებზე მომდგარ მსხვილ–მსხვილ კუცხლებს: - ჩემი ბოჩოლა, ანდრია პაპა, ჩემი ბოჩოლა, შეუჭამია მგელსა..

– ვაჰმე! - ამოიძახა მოხუცმა და სწრაფად წამოდგა ფეხზე, ოთახში შევარდა და კედელზე ჩამოკიდებულ მამაპაპურ თოფს დასტაცა ხელი.

– საითღა გაგიწევია, შე კაცო, ამ შუაღამისას, იმ მგელს ეპირები მოკვლას თუ?– გაწიწმატდა თებრო. – საქონელი მოიყვანე და მოკვლას დილითაც მოესწრები.

– კარგი. — ანდრიამ თოფი დივანზე მიაგდო და საქონელი შერეკა ბაგაში. მობრუნებულს ყურში მგლის ავბედითი ყმუილი მოხვდა. სავსე მთვარეს ახედა, - რაო, ვერ გაძეხი, შე ოჯახქორო, ახლა მთვარეს რომ ეპირები შეჭმას? – ჩაიბუტბუტა მოხუცმა, მერე ლაზათიანად გამოთლილი კარადიდან დაზეთილი ჩვარი გამოიღო და ლაქაქერცლილ თოფის კონდახს დაუწყო გაპრიალება, ოთახიდან ანდროს ჩუმი სლუკუნი ისმოდა.

ღამე იყო. ტყისკენ მიმავალ ბილიკს მიყვებოდა მგელი, დასისხლიანებულ თათს ილოკავდა სიმწრით. ხან მოუხერხებლად ძვრებოდა წარბებჩამოფანჩულ ბარდნარში, ხან სისხლს ატოვებდა ეკლებს და ხანაც რუხ ბეწვს, თან მარცხით შეურაცხყოფილი ღრენას უმატებდა; - სულ კბილებშუა არ ამაცალეს ის ბოჩოლა, ორი დღეა, ხორცის ნაგლეჯი ვერ მივიტანე ბუნაგში, ასე თუ გაგრძელდა, დამეხოცება შიმშილით ლეკვები, არადა ისე მოიზარდნენ, ხვალე ხვალზევით პირველ ნადირობაზე მყავს წასაყვანი. ფიქრები მწარე ტკივილმა შეაწყვეტინა მგელს. თათიდან სისხლი ჟონავდა, გაგლეჯილი ჭრილობებიდან ძვლის ნამტვრევი გამოჩრილიყო, საშინელი ტკივილი კიდევ უფრო მატულობდა, მაგრამ გაჩერება არ შეიძლებოდა, ინსტიქტი კარნახობდა, რომ გაჩერება ახლა სიკვდილის ტოლფასი იყო. ნაყანები ადგილი კოჭლობით, მაგრამ სწრაფად გაირბინა, შემდეგ ტყის ვიწრო ზოლიც გადაკვეთა და არეულებს შეერია. აქ კი მოუკლო სიჩქარეს, ხშირ ბუჩქნარში შეძვრა და დაწვა, ჭრილობის ლოკვა დაიწყო. ცოტა ხნით შეიცადა, ძალები მოიკრიბა და ბუნაგისკენ წაძუნძულდა. ბუნაგის წინ უკანა თათებზე ჩაყუნცული ლეკვები ელოდნენ, დედის დანახვაზე მსუბუქი ღრენით წამოხტნენ და ცარიელ ძუძუებზე კბილებით ჩამოეკიდნენ. მგელმა ხაოიანი ენით დაუწყო გასუფთავება შიმშილისაგან ფერდებჩაცვენილ, ბეწვაბურძგნულ ლეკვებს, მშიერი თვალებით რომ გასცქეროდნენ მთვარის მკრთალ შუქზე უშფოთველად ჩაძინებულ ტყეს. მერე ბუნაგში შევიდა. მათი ტანჯვის შემხედვარემ ამოიღრინა, შესასვლელთან მოიკუნტა და კუდი აიფარა თვალებზე, თითქოს ასე ცდილობდა დამალვოდა სინამდვილეს.

ლეკვებმა ერთხანს იძუნძულეს დედის გარშემო და საკბილო რომ ვერაფერი მიიღეს,იქვე დედის ახლოს ჩაცუცქდნენ, მხოლოს ერთმა ლეკვმა გაუბედავად წადგა ცალი თათი წინ, ჩაბნელებულ ტყეს ფრთხილად შეუღრინა და პირველად აღავლინა მთვარისკენ სამგლოვიარო ვედრება.. მერე ერთ ხმას მეორე შეუერთდა და ღამის მყუდროება მგლების ყმუილმა ნაფლეთებად აქცია. ცოტა ხანში ხეობის გადაღმა მხარიდან საპასუხო ყმუილი გაისმა. ეს ხმა ახალბედა ლევების ხმას არ ჰგავდა, ბევრად უფრო გაბმული და მძლავრი იყო. ამ ხმაზე დედა მგელი დაიძაბა, ტკივილის მიუხედავად წამოდგა და მთელი ძალით ამოუშვა ხმა დასუსტებული სხეულიდან. იცოდა ძუ მგელმა, რომ მეზობლების ხმაზე საპასუხო ყმუილი აუცილებელი იყო. დუმილი იმის ნიშნად ჩაითვლებოდა, რომ მის ოჯახს რაღაც დაემართა, ადგილი განთავისუფლდა, მის ტერიტორიაზე მეზობლები ნადირობას მოუხშირებდნენ და შეავიწროვებდნენ, მაშინ კი მისი შთამომავლობა აუცილებლად გაიწირებოდა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ტრაგიკული შემთხვევები

გასული კვირა დედოფლისწყაროში ტრაგიკული შემთხვევების სიმრავლით გამოირჩეოდა. მოხუცი მამაკაცის ბურუსით მოცული გარდაცვალების გარდა დაფიქსირდა ასევე, თვითმკვლელობის ფაქტი და ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელსაც ქვეითად მოსიარულე მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა.

რამდენიმე დღის წინ დედოფლისწყაროში ჩამომხრჩვალი მამაკაცი შესაძლოა მკვლელობის მსხვერპლი გამხდარიყო. ამის შესახებ ეჭვებს დაზარალებულის ოჯახი გამოთქვამს. გარდაცვლილის მეუღლის ამგვარი პოზიციის გამო, შესაძლოა, თვითმკვლელობის ფაქტი განზრახ მკვლელობად გადაკვალიფიცირდეს.

დედოფლისწყაროში მცხოვრები მაია თუშოვი ამბობს, რომ მისი მეუღლე 55 წლის ილია სამჩენკო მეცხოველეობის ფერმაში გარდაცვლილი ნახეს. გამოძიება თვითმკვლელობის ვერსიას ამუშავებს, თუმცა ქალბატონი ეჭვობს, რომ მამაკაცი შესაძლოა მოეკლათ.

მაია თუშოვი აცხადებს, რომ გარდაცვლილს ყელი გამოღადრული ჰქონდა და სხეულზე არაერთი დაზიანება აღენიშნებოდა. გარდაცვლილის მეუღლე მის დამსაქმებელს, ფერმის მეპატრონეს ადანაშაულებს და აცხადებს, რომ მათ კონფლიქტი ჰქონდათ.

„ყელი გამოღადრული ჰქონდა, თავზე დიდი კოპი, გვერდის დაჟეჟილობა და არაერთი სხეულის დაზიანება აღენიშნებოდა. ტანსაცმელიც გახდილი ჰქონდა. ყველა თვითმკვლელობას ამბობს, მაგრამ თუ მან თავი მოიკლა ამდენი დაზიანება საიდან აქვს?... ფერმის მეპატრონის გვარი არ ვიცი. ჩემი მეუღლე ბოლო დროს „ბოდბელი გელას“ ფერმაში მუშაობდა. ეჭვი მაქვს, რომ მოკლეს და ამაში ფერმის მეპატრონეა გარეული. ბოლო დროს ფერმაში წასვლა არარ სურდა, იმ კაცის ისე ეშინოდა აღარ წავალო იძახდა. მუდმივად ემალებოდა, დაშინებული ჰყავდა, რადგანაც სცემდა. იძულებით წაიყვანა ბოლოს. ექსპერტიზის დასკვნას ველოდები და ვასაჩივრებ,“ — აცხადებს გარდაცვლილის მეუღლე.

„მამაკაცი გარდაცვლილი ნამდვილად იპოვეს. ის წარმოშობით ახმეტიდან არის, თუმცა დედოფლისწყაროში ცხოვრობდა. შემთხვევა ერთ-ერთ ფერმაში მოხდა, სადაც გარდაცვლილი იპოვეს,“ - აცხადებენ დედოფლისწყაროს პოლიციაში.

როგორც „ადითის“ დედოფლისწყაროს საავადმყოფოს უფროსმა ხათუნა ზურიკაშვილმა განაცხადა, ექსპერტიზისთვისაც ცხედარი გურჯაანში გადაასვენეს.

„გარდაცვლილის მეუღლე, მაია თუშოვი ყოველდღიურად ჩვენთან საღილობს. დღეს ძალიან შეწუხებული მოვიდა. აქედან სულ რაღაც 5 წუთის წინ გავიდა. ტიროდა... ის ეჭვობს, მისი მეუღლე ფერმაში ვინმემ ხომ არ მოკლა,“ - აცხადებენ დედოფლისწყაროს სათნოების სახლში.

მომხდართან დაკავშირებით შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება. მომხდართან დაკავშირებით პოლიციის სამმართველოში კომენტარს არ აკეთებენ.

ავტოსაგზაო შემთხვევა დაფიქსირდა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ხორნაბუჯში. შეჯახება მეგობრობის ქუჩაზე მოხდა, რა დროსაც სწრაფად მოძრავი ბეემვეს მარკის ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ტროტუარზე ქვეითად მოსიარულეს დაეჯახა. შეჯახების შედეგად ამავე ქუჩაზე მცხოვრები 65 წლის ვლადიმერ ზოროღლიანი ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც დედოფლისწყაროს საავადმყოფოს დირექტორი ხათუნა ზურიკაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბარში აცხადებს, სტაციონარში შემოსვლისას მამაკაცი უკვე გარდაცვლილი იყო და ცხედარი ექსპერტიზის ჩასატარებლად გადაიგზავნა.

მომხდარზე შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება. როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ბეემ-ვეს მძღოლი გიორგი ჭამიაშვილი უკვე დაკავებულია.

ამას გარდა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საბათლოში 23 წლის სუსანა მოსიანმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მან გასროლა ოჯახის კუთვნილი სანადირო თოფიდან გასროლით მოახდინა. ინფორმაციას სოფლის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული დავით გუნდაძეც ადასტურებს.

გოგონას ნათესავები მეუღლესთან მის კონფლიქტურ ვითარებაზე ამახვილებენ ყურადღებას და აცხადებენ, რომ სუსანას მეუღლე ბოლო დროს გამუდმებით ალკოჰოლს სვამდა და ცოლს ფიზიკურად უსწორდებოდა. დაძაბული ვითარების გამო გოგონა მეუღლეს ახლახან გაშორდა და საცხოვრებლად მშობლების ბინაში გადავიდა. სუიციდის ფაქტიც სწორედ მის სახლში მოხდა.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, გარდაცვლილს ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა. ბოლო ორი კვირის მანძილზე დედოფლისწყაროში სუიციდის ეს უკვე მესამე შემთხვევაა.

მომხდარზე შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

ილია მარტყოფლიშვილი

ყურადღება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი — **აღსრულების ეროვნული ბიურო**

აცხადებს სტაჟიორთა შესარჩევ კონკურსს

ანაზღაურებად საქმიანობას — ამავე ბიუროს ტერიტორიულ ორგანოებში.

სტაჟირების ხანგრძლივობა — 6 თვე.

სამუშაო ადგილი: კახეთის სააღსრულებო ბიურო — თელავი, დედოფლისწყარო, საგარეჯო, ლაგოდეხი, ყვარელი, გურჯაანი.

ძირითადი ფუნქცია—მოვალეობები:

- სააღსრულებო წარმოებაში მონაწილეობის მიღება;
- აღმასრულებლის დახმარება, სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადებაში;
- აღმასრულებლის დახმარებით, სააღსრულებო საქმისწარმოების პროგრამაში დოკუმენტების რეგისტრაცია;
- უფლებამოსილების ფარგლებში, სხვა დავალებების შესრულება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი იურიდიული განათლება ან უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი (დამამთავრებელ კურსად ჩაითვლება ბაკალავრიატის ბოლო კურსი);
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების და საოფისე ტექნიკის მოხმარების ცოდნა.

საქმიანი თვისებები:

- ყურადღებიანი და დეტალებზე ორიენტირებული;
- გამართულად მეტყველების უნარი;
- პასუხიმგებლობის გრძნობა.

სტაჟიორთა შერჩევის ეტაპები:

- კანდიდატების გადარჩევა პირადი მონაცემების (სააპლიკაციო ფორმა)მიხედვით;
- ტესტირება;
- გასაუბრება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა გთხოვთ, გამოაგზავნოთ სააპლიკაციო ფორმა (www.nbe.gov.ge) შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

recruitment@nbe.gov.ge 2012 წლის 11 აპრილიდან 25 აპრილის ჩათვლით.

გაითვალისწინეთ, რომ თანდართული სააპლიკაციო ფორმის შევსება სავალდებულოა.

გთხოვთ, სათაურის ველში მიუთითოთ საურველი პოზიციისა და სამუშაო ადგილის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი კანდიდატურა არ განიხილება.

დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ვებ გვერდს: WWW.NBE.GOV.GE

მონატრება

ბაბულია ღორაშვილი

ჩვენო ძვირფასო დედა, უკვე მეათედ მოვიდა გაზაფხული, უკვე ათი წელია, უშენოდ ვცხოვრობთ, მაგრამ ტკივილის სიმძაფრე არ განელებულა, მძლავრობს მონატრების დიდი გრძნობა, რომელსაც სამანი არა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენც სიცოცხლის ნახევარზე მეტი უკვე გავლილეთ და ცხოვრებამ ბევრი რამ გვასწავლა, შენი ჭკვიანური დარიგება მაინც გვაკლია. გვაკლია შენი სითბო და სიყვარული, რომელსაც უსიტყვოდ, ძირითადად ქცევით, ზრუნვით და ამაგით გამოხატავდი. მამის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი შენმა სიკვდილმა განგვიახლა. ახლა ორივე იმქვეყნიურ დიდ სოფელში ცხოვრობთ, ჩვენ კი — თქვენი სამი შვილი, ხუთი შვილიშვილი და შვიდი შვილთაშვილი სულ გიხსენებთ, თქვენს ამაგს ჩვენი სწორი და პატიოსანი ცხოვრების წესით ვაფასებთ. ვლოცულობთ და უფალს ვავედრებთ, თქვენს სულებს ნათელი დაუმკვიდროს, რათა განისვენოთ იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

30 მარტს, შენი გარდაცვალების ათი წლისთავზე შევიკრიბეთ თქვენი ჯაფით და ოფლით აშენებულ სახლ—კარში, აგინთეთ სანთლები, პატივი მივაგეთ თქვენს ხსოვნას და კიდევ ერთხელ გითხარით დიდი მადლობა იმ ამაგისთვის, რაც თითოეული ჩვენგანის აღზრდითა და დაკვალიანებით თავდაუზოგავად გასწიეთ. კიდევ მრავალი წელი გავა და თქვენი ხსოვნა იცოცხლებს თქვენი შთამომავლების გულში.

გვიყვარხართ, გვახსოვხართ და გვენატრებით!

თქვენი შვილები:
ნარა, ციხელო და გულნარა.
სოფელი გამარჯვება.

უშანგი ტოკლიკიშვილი



16 აპრილი შენი დაბადების დღეა, 74 წელი შეგისრულდებოდა, გილოცავთ მამა! ყოველთვის გიხაროდა შენი დაბადების დღე, მეუღლესთან ერთად აღნიშნავდი, რადგან ერთ თვეში დაბადებულები იყავით. გიყვარდა ახლობლებთან ერთად აღნიშვნა, ახლა კი ყველას მხარი ჩამოუგდე და უშენოდ შეისმება შენი სადღეგრძელო.

შენმა სიკვდილმა ყველას გულები დაგვწყვიტა, ალბათ იმიტომ, რომ კეთილი ადამიანი იყავი და ცუდი არასოდეს გაგიკეთებია. მოულოდნელად გამოგვეცალე ხელიდან. დრო ყველაფრის მკურნალი არ ყოფილა. ცხოვრება უშენოდ გრძელდება, მაგრამ დრო ვერ შეძლებს იმ ტკივილის, სიყვარულისა და მონატრების დავიწყებას, რასაც შენი ოჯახი და სანათესაო განიცდის.

დაიზარდნენ შენი ნანატრი შვილიშვილები, დიდი პაპა ხარ, 3 შვილთაშვილი გყავს და ბიჭებს რომ შეჰხაროდი, შენი აკაკი, მალხაზი და უშანგი დაიზარდნენ. ახლა მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, მოვიდეთ შენს სამუდამო განსასვენებელთან, აგინთოთ სანთლები და უფალს შევავედროთ, რომ შენი კეთილი სული ნათელში იყოს.

მეუღლე: ლია, შვილები: ნინო, მაია, მარინე ტოკლიკიშვილები.
ზემო მაჩხაანი.

თამაზ (ბათია) ტუსაშვილი



შენ ხომ უზომოდ კეთილი და უსაზღვროდ ლამაზი სულის პატრონი იყავი, ამიტომ ეს კითხვა არ მასვენებს: რატომ უნდა ვხვდებოდეთ უშენოდ შენს დაბადების დღეს? ბევრი ადამიანი, რომელიც დიდხანს ცოცხლობს, ვერ ტოვებს ისეთ კვალს, როგორიც შენ 39 წლის ასაკში დატოვე. ვიხსენებ ყველა წუთს, წამს ერთად გატარებულს და არ მახსენდება თუნდაც ერთი პატარა წყენა შენგან.

ხუთი წელია, სანთლად ანთიხარ მარადიულ სასუფეველში, მაგრამ მაინც სულ გელოდები... როდის შემოაღებ კარს და შენი სანდომიანი ღიმილით შეავსებ იმ მტკივნეულ სიცარიელეს, რომელიც ჩვენს გულებშია. თუკი ვინმესთან ურთიერთობის რამდენიმე წუთი მაინც გქონია, დღემდე ყველა თვალცრემლიანია. შენ ისეთი ძლიერი იყავი, რომ იმქვეყნიური სასუფეველიდანაც ახერხებ ჩვენს დახმარებას, მფარველობას...

სიცოცხლე ჯოჯოხეთად გადამექცა, ყველა ჩემი ოცნება და იმედი შენთან ერთად დასამარდა, თუ ამას აპირებდი, რატომ არ მასწავლე, როგორ მეცხოვრა და მეცოცხლა უშენოდ — სამყაროს ფერი დაკარგა, დამრჩა მხოლოდ შეგრძნება უსაშველო მონატრების.

მინდა, მთელი ხმით ვიყვირო — ღმერთო, დამიბრუნე ბათია!

ამ ტკივილიან გახსენებას ცრემლით გიწერ. მინდა გახარო, ჩვენი ერთას, ჩვენი ილიკოს ბედნიერება. ალბათ ამ სიხარულს იქ, ზეცაში იგრძნობ — ჩვენ შენი სახელით არაფერს დავაკლებთ, ყველაფერს ისე გავაკეთებთ, როგორც შენ გაგიხარდებოდა. შენი სიყვარული და ხსოვნა მავალებს მათ გვერდში დგომას. ერთად ვზრუნავთ ყოველდღიურ საზრუნავზე, კვლავ შენთან ვათანხმებ, რა სჯობს და როგორ...

შენი ნონა და ილიკო ტუსაშვილები

ზაზა პოპიაშვილი



შენ ოცდაშვიდი გაზაფხული იკმარე მხოლოდ...

როგორ იცრემლება აპრილი... დედის ცრემლებად გაწვიმდება შენს საფლავზე, ზაზა. 27 წლის ჩამქრალ სიცოცხლეს ეალერსება ნიავი, ქრისტეს აღდგომას გახარებს...

2006 წლის 24 აპრილს, აღდგომის დღესასწაულზე, ბრწყინვალე შვიდეულის პირველსავე დღეს გაგიღო უფალმა საუფეველის კარი და შენც ნაღვლიანად გაუყევი ზეცისკენ მიმავალ ბილიკს აუხდენელი ოცნებითა და ფიქრებით.

6 ტკივილიანი წელი გავიდა, ჩემო ზაზა, რაც უფალმა ამ წუთისოფელს გაგარიდა და გულში ჩაგიკრა. ჟამთა სვლას ვერაფერი შეაჩერებს, მაგრამ დროსაც თავისი ბატონი ჰყავს, ეს არის ხსოვნა. რა მძიმეა ამ სიტყვების წარმოთქმა დედისათვის, ჩემო სიცოცხლევ. შენ ძალიან კარგი შვილი იყავი, კეთილი, ხალისიანი, მეგობრების გამტანი, სიყვარულითა და სიცოცხლით სავსე. ყველაფერი გაქრა, მხოლოდ ფოტოებს შემორჩა შენი სიყვარულით სავსე თვალები და ლამაზი მზერა.

33 წლისა ხარ უკვე, შვილო, კაცი ხარ, მოგიკვდეს დედა. სიზმარში მაინც მოდი დედასთან, სიზმარში მაინც შევიგრძნო შენი სითბო, შენი სუნთქვა, გავიგონო შენი ხმა: „დედა“! ჩაქრა შენი ლამაზი, ლაღი სიცოცხლე და მზე დაგვიბნელდა შენს მშობლებს, ერთადერთ ძმას კი, მოუშუებელი ტკივილი და სამუდამო იარა დაუტოვე. ყველას ძალიან გვენატრები, შვილო. ენატრები შენს საყვარელ მეუღლეს ნათიას და ქალიშვილს ლიკას. ენატრები გოჩიკოს, ბიძებს, ბიცოლებს, ბიძაშვილებს, ბებიებს და პაპას. ენატრები შენს მეგობრებს და მეზობლებს.

ღვთის ნების გარეშე არაფერი ხდება ამ ქვეყნად. შენი უეცარი და უდროო წასვლაც, ალბათ, ღვთის ნება იყო. დიდ გლოვას დიდი დუმილი სცოდნიაო, ნათქვამია და მართლაც დამადუმა და დამამუნჯა უშენობამ, ჩემო სიცოცხლევ. უინტერესო და ერთფეროვანი გახდა ჩემი ცხოვრება. 6 წელია გაზეთის ამ მტკივნეული გვერდიდან გესაუბრები და გეფერები მარადისობაში გადასულს.

შენ კი უფალთან ხარ, მაგრამ ვინ ანუგეშოს შენს სამუდამო სასთუმალთან დაჩოქილი დედა?! ნუგეში ლოცვაა და უამრავი სანთელი ილვენთება შენს საფლავზე, ჩვენთვის სანთლად ანთებულო ვაჟკაცო! ღვთის მადლი არ მოგკლებოდეს, შვილო, უფალს ებარებოდე! ქრისტე აღსდგა, ზაზა!

შენი ოჯახი

კვლავ გამარჯვების სიხარული...

6-7-8 აპრილს ქალაქ თბილისში საქართველოს ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ფედერაციამ საერთაშორისო ტურნირი გამართა კიკბოქსინგში „თბილისის თასზე“. სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში 300-მდე სპორტსმენმა იასპარეზა, მათ შორის დედოფლისწყაროს კიკბოქსინგის გუნდის წევრებმა. როგორც დედოფლისწყაროს კლუბ „ჩემპიონის“ მწვრთნელმა თამაზ ყარაგვეზაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, შეჯიბრი K-1-ის წესებით მიმდინარეობდა. სამდღიანი დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ გუნდი „ჩემპიონი“ საერთო ჯამში 17 საპრიზო ადგილით დაბრუნდა.

ჩემპიონის ტიტულს დაეუფლნენ: ლევან წიკლაური — 48 კილოგრამ წონით კატეგორიაში, ლევან სეფიაშვილი (54 კგ) და დავით ქადაგიძე (71 კგ).

მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს: გიორგი გომერშმიდმა, გიორგი ნატროშვილმა, გოჩა ხილაძემ, თორნიკე ფოცხვერაშვილმა, მალხაზ უთრუთაშვილმა, გიორგი ბენაშვილმა, ვანო ნათელაძემ, ალიკა ბექაურმა, გიორგი ღულუნიშვილმა, იოსებ ზოიძემ, ვალერი ვაჭარიძემ, სამველ მადოიანმა.

თამაზ ყარაგვეზაშვილის განმარტებით, მესამე ადგილს დასჯერდნენ ლაშა ელყიანშვილი და სანდრო ნატროშვილი.

„აღნიშნულ ტურნირზე „თბილისის თასი“ გუნდის მონაწილეობა დააფინანსა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრმა, რისთვისაც კლუბის სახელით გვინდა მადლობა გადავუხადოთ,“ — აცხადებს ყარაგვეზაშვილი.

ტურნირზე საპრიზო ადგილებთან ერთად კიდევ რამოდენიმე პრიზი გათამაშდა. ორთაბრძოლებში ყველაზე სწრაფი გამარჯვებისათვის დიპლომით დაჯილდოვდა გიორგი ბენაშვილი (63კგ). ყველაზე ლამაზი და ტექნიკური ორთაბრძოლების ავტორად ვანო ნათელაძე დასახელდა.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, საერთაშორისო ტურნირზე გუნდის საუკეთესო მომზადებისთვის დიპლომით დაჯილდოვდა მუნიციპალიტეტის ნაკრების ხელმძღვანელი თამაზ ყარაგვეზაშვილი.

***

გენადი ნატროშვილის გუნდი კვლავ წარმატებით ასპარეზობს. 24-25 მარტს ქალაქ თბილისში თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით ჩატარდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის ტურნირი. ეს იყო ღია პირველობა, სადაც აზერბაიჯანელი და სომეხი სპორტსმენები მონაწილეობდნენ.“ბრძოლა წესების გარეშე“ შეჯიბრში გუნდმა წაგების გარეშე იასპარეზა და პირველი ადგილის მფლობელიც გახდა.

ბრძოლაში, რომელიც K-1-ის წესებით მიმდინარეობდა, მონაწილეობა მიიღო გიორგი ნატროშვილმა, რომელიც მძიმე დაღლილობის გამო მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა, ხოლო პირველი ადგილის მფლობელი სოსო ნატროშვილი გახდა, რომელსაც თავდაცვის სამინისტროს მოწონებაც ხვდა წილად. ტურნირში მეორე ადგილის მფლობელები გახდნენ გიგა ნატროშვილი და გიორგი ტოკლიკიშვილი, ხოლო მესამე ადგილის —ლევან მარტყოფლიშვილი.ტურნირის ორგანიზატორებმა სპორტსმენებს სიგელები და მედლები გადასცეს, ხოლო მათ მწვრთნელს გენადი ნატროშვილს—სიგელი საუკეთესო სპორტსმენების აღზრდისთვის.

სანდა

8 აპრილს დედოფლისწყაროს კულტურის სახლში ჩატარდა დედოფლისწყაროს პირველობა აღმოსავლურ ორთაბრძოლა სანდა-ში, სადაც დედოფლისწყაროს გუნდი შეჯიბრებოდა ლაგოდეხის და აზერბაიჯანის გუნდებს. შეჯიბრება ჩატარდა 15 კგ წონით კატეგორიაში, საიდანაც 8 პირველი ადგილი დედოფლისწყაროს გუნდს ხვდა წილად, ხოლო 7 პირველი ადგილი აზერბაიჯანმა და ლაგოდეხმა მოიპოვეს.

დედოფლისწყაროდან ამ ჩემპიონატზე გამარჯვება მოიპოვეს და ჩემპიონები გახდნენ: გიორგი ალუღიშვილი 23კგ, (1 საჯარო სკოლა), ირაკლი ნატროშვილი 35 კგ (1 საჯარო სკოლა), ნიკა ჩიტიშვილი 37 კგ (1საჯარო სკოლა), გიორგი ხუციშვილი 55კგ (1 საჯარო სკოლა), სამხარაძე სანდრო 65კგ (რუსულ-ქართული საჯარო სკოლა), ლევან თეთრაული 83კგ, ნაჰიბ ალიევი 90კგ, გიორგი ნარტოშვილი 65კგ. ჩემპიონატის ორგანიზატორი იყო დედოფლისწყაროს საბრძოლო ხელოვნებათა კლუბის მწვრთნელი გიორგი ცისკარაული.

გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობას, დედოფლისწყაროს კულტურის და სპორტის ცენტრის ხელმძღვანელს ბატონ ივანე შანშიაშვილს. რომ არა მისი აქტიური მხარდაჭერა, შეჯიბრის ჩატარება ვერ მოხერხდებოდა. ასევე დიდი მადლობა ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ჩვენი შეჯიბრის კარგად ორგანიზებაში.

გიორგი ცისკარაული

2011 წელს დაწყებული სამუშაოები სრულდება

მიმდინარე წელს განახლდა 2011 წელში დაწყებული სამუშაოები. ამჟამად, უკვე დასრულებულია სახანძრო-სამაშველო სამსახურის ადმინისტრაციული შენობის ოთახების სარეაბილიტაციო სამუშაოები, დასრულებულია, ასევე, თვითმმართველი ერთეულის საკონფერენციო დარბაზის კეთილმოწყობა, ქალაქ დედოფლისწყაროში, 9 აპრილის ქუჩაზე არსებული სანიაღვრე არხის და სოფელ არბოშიკში არსებული შიდა გზების რეაბილიტაცია;

უკვე შესრულებულია ქალაქ დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქუჩაზე, სკვერის გასწვრივ არსებული მესერის სარეაბილიტაციო სამუშაოების 80%; ამჟამად, ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრში, მიმდინარეობს სამშობლოსათვის თავდადებულთა მემორიალის მშენებლობა და მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია.

ზემოთ აღნიშნული სამუშაოების ღირებულება 208 951 ლარს შეადგენს.

იყიდება

ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ.№26 (აფთიაქის გვერდით), პირველ სართულზე იყიდება ერთოთახიანი ბინა, რომელიც გამოიყენება როგორც საცხოვრებლად, ასევე კომერციული საქმიანობისთვისაც. ყიდვა შეიძლება განვადებითაც. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ:
571 55 99 51; 595 97 99 01. იკითხეთ ლია. საწყისი ფასი: $4 300

თავისუფალი ჭიდაობა

ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა 1995—96 წლებში დაბადებულთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში. მესამე ადგილები აიღეს ირაკლი პოპიაშვილმა (76კგ) და ლაშა ბოდაველმა(85კგ). ორივე სპორტსმენი შეყვანილია საქართველოს ნაკრებში. გუნდი შეჯიბრისთვის მოამზადა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა დავით გონაშვილმა.

ამინდი დედოფლისწყარო

	პარასკევი 13.04	შაბათი 14.04	კვირა 15.04	ორშაბათი 16.04	სამშაბათი 17.04	ოთხშაბათი 18.04	ხუთშაბათი 19.04
დღე	18°	17°	16°	18°	14°	13°	15°
ღამე	11°	12°	14°	14°	11°	12°	12°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მლეკრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
დაიბეჭდა შ.პ.ს „საარის“ სტამბაში

რედაქციის მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 8 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K